საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №105
2016 წლის 19 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანებაში (სსმ, №134, 27/09/2007, სარეგისტრაციო კოდი: 280.120.000.22.026.010.857) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების 19^2 -19^4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19^2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს და სამოქალაქო პირებს, რომლებიც „პრაქტიკულ ფრენებზე დაშვებისათვის ყოველწლიური შემოწმების შედეგების საფუძველზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრებიან ეკიპაჟების მეთაურებად ან მეორე მფრინავებად და ახორციელებენ პრაქტიკულ ფრენებს საჰაერო ხომალდზე ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი შემდეგი ოდენობით:

ა) თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების ეკიპაჟების მეთაურებს – წოდებრივი/თანამდებობრივი სარგოს 70%-ის ოდენობით;

ბ) თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების მეორე მფრინავებს – წოდებრივი/თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით.

19^3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს და სამოქალაქო პირებს, რომლებიც ახორციელებენ პრაქტიკულ ფრენებს საჰაერო ხომალდზე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი შემდეგი წესით:

ა) თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების შტურმანებს – წოდებრივი/თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით;

ბ) თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების ბორტინჟინრებს (ბორტტექნიკოსებს, ბორტმექანიკოსებს) – წოდებრივი/თანამდებობრივი სარგოს 30 %-ს ოდენობით.

19^4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს და სამოქალაქო პირებს, რომლებიც არიან თვითმფრინავების, შვეულმფრენების ინჟინრები და ტექნიკოსები, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი – წოდებრივი/თანამდებობრივი სარგოს 5%-ის ოდენობით.”.

2. ბრძანებას დაემატოს 26^1 -26^3 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„26^1. კადრების განკარგულებაში გაყვანილ სამხედრო მოსამსახურეებს, პირადი სურვილის საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში, მიეცემათ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება შემდეგი ოდენობით:

ა) პოლკოვნიკს – 29 000 ლარი;

ბ) ვიცე-პოლკოვნიკს – 23 000 ლარი;

გ) მაიორს – 18 000 ლარი;

დ) კაპიტანს – 14 000 ლარი;

ე) უფროს ლეიტენანტს, ლეიტენანტს – 10 000 ლარი.

26^2. სამხედრო მოსამსახურეებს, გარდა 26^1 პუნქტით გათვალისწინებული პირებისა, პირადი სურვილის საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში, მიეცემათ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება შემდეგი ოდენობით:

ა) პოლკოვნიკს – 29 000 ლარი;

ბ) ვიცე-პოლკოვნიკს – 23 000 ლარი;

გ) მაიორს – 18 000 ლარი;

დ) კაპიტანს – 14 000 ლარი;

ე) უფროს ლეიტენანტს, ლეიტენანტს – 10 000 ლარი.

26^3. 26^1 და 26^2 პუნქტების მოქმედება ძალაშია 2017 წლის 15 იანვრამდე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 19 დეკემბრიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ლევან იზორია**